ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 491

"24" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.007.062) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა არველაძისთვის (პ/ნ. 37001039083) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა არველაძისთვის (პ/ნ 37001039083) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 15 ოქტომბრის N25.1712.1931 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.007.062) პირდაპირი განკარგვის წესით მარინა არველაძისთვის (პ/ნ 37001039083) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1680 (ათას ექვსას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე